



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასპუქაკა

ასპუქაკა (*Sylvia*), ფრინველთა გვარი ბეღურასნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძეა 12-15 სმ, შეფერილობაში ქარბობს რუხი, ნაცრისფერი, თეთრი, შავი, წითური ტონალობა; ზოგიერთს შეფერვაში გამოხატული აქვს სქესობრივი დიმორფიზმი; გვარში გაერთიანებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში გავრცელებული 17 სახეობა, რ-თა უმრავლესობა გადამფრენია (ზამთრობენ აფრიკასა და სამხრ.-დას. აზიაში). ბინადრობენ ტყისპირებში, ნაირგვარ ტყეებში, ტყეკაფებზე, ქალებში, ბაღებსა და სხვა ანთროპომორფულ ლანდშაფტებში, ხეობებში; ბუდობენ აპრილ-მაისში (ბუდე ღიაა), დებენ 4-5 კვერცხს; რ-თა ინკუბაცია 2 კვირამდე გრძელდება. იკვებებიან მწერებით, ობობებით, კენკრით. საქართველოში ბუდობს 5 სახეობა: მიმინოსებია (S. nisoria), მქორდა (S. curruca), შავთავა (S. atricapilla), რუხია (S. communis), მგალობელია (S. borin).

რ. უორდანია
